საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030115514863319

№ 01-139/ო **11 / აპრილი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოში ემიგრაციიდან დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რეინტეგრაციის და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელთა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა ადგილობრივი ინტეგრაციის სფეროში გრანტის გაცემის მიზნით კომისიის შემქნის თაობაზე

,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოში ემიგრაციიდან დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რეინტეგრაციის და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელთა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა ადგილობრივი ინტეგრაციის სფეროში გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 3 აპრილის №01-31/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე - 7 მუხლის მე - 2 პუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

მუხლი 1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოში ემიგრაციიდან დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რეინტეგრაციის და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელთა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა ადგილობრივი ინტეგრაციის სფეროში, საგრანტო პროგრამის ფარგლებში საგრანტო კონკურსის გამოცხადების, საგრანტო განაცხადების მიღებისა და განხილვის და საგრანტო კონკურსში გამარჯვებული კონკურსის მონაწილის გამოვლენის მიზნით:

1. საქართველოში ემიგრაციიდან დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, განისაზღვროს საგრანტო კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) თამილა ბარკალაია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე (შემდგომში-მინისტრის მოადგილე), კომისიის თავმჯდომარე;

ბ) პაატა ჟორჟოლიანი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) გიორგი ბუნტური - სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის მიგრაციის საკითხთა სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

დ) ქრისტინა გოროდნიჩევა - სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის მიგრაციის საკითხთა სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი, კომისიის მდივანი;

ე) კობა სელიმაშვილი - სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის საფინანსო-საბიუჯეტო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

ვ) ციური ანთაძე - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), კომისიის წევრი;

ზ) თამარ კიკვიძე - მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD), კომისიის წევრი;

თ) ვარლამ ჭკუასელი - დამოუკიდებელი ექსპერტი, კომისიის წევრი.

2. საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელთა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა ადგილობრივი ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით განისაზღვროს საგრანტო კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) თამილა ბარკალაია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე (შემდგომში-მინისტრის მოადგილე), კომისიის თავმჯდომარე;

ბ) პაატა ჟორჟოლიანი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) გიორგი ბუნტური - სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის მიგრაციის საკითხთა სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

დ) ქრისტინა გოროდნიჩევა - სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის მიგრაციის საკითხთა სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი, კომისიის მდივანი;

ე) კობა სელიმაშვილი - სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის საფინანსო-საბიუჯეტო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

ვ) მარიკა ციბაძე - სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, ლტოლვილების პროგრამების კონსულტანტი, კომისიის წევრი;

ზ) მაია მელიქიძე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ქართულის, როგორც მეორე ენის ექსპერტი, კომისიის წევრი;

თ) ლელა ცქიტიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

ი) მარატ ატამურადოვ - გლუკის რეგიონული წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო) (UNHCR), რეგიონული პროგრამის ხელმძღვანელი; კომისიის წევრი;

კ) ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), კომისიის წევრი;

ლ) ზურა ყორღანაშვილი - მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD), კომისიის წევრი.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საგრანტო პროგრამის დამტკიცებისა და საგრანტო კომისიის შექმნის თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2018 წლის 24 იანვრის N59 ბრძანება.

მუხლი 3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თამილა ბარკალაია